პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელ-არმიელი

ფასი 3 კაპ.

ხუთშაბათი, 13 მაისი 1926 წ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

103 (1098) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 103 (1098)

## „კონსტიტუციის ჩვეულებების დარღვევა“

ინგლისის გაფიცვებმა მართლაც, რომ დიდი შიში აგრძნობინა კონსერვატიულ ნაჭუჭში მოკალათებულ ინგლისის ბურჟუაზიას და მის მთავრობას. მთავრობას ამ ჟამათ დარჩენია მხოლოდ ერთი გზა იმისაკენ, რომ გაფიცულთა ხელმძღვანელები „შეარცხვინოს“ და აგრძნობინოს მათ საკუთარი მოქმედების ე. ი. გაფიცვების მოწყობის უაზრობა და უსაფუძვლობა.

ეს გზა არის გამონახული თვით პრემიერ-მინისტრის ბოლდუინის მიერ, რომელიც უმთავრესათ გამოიხატება იმაში, რომ იგი აყვედრის გაფიცულთა ბელადებს ინგლისის კონსტიტუციის ჩვეულებების დარღვევას და ამიტომ მოუწოდებს მათ დაუშვებელი საქციელის გამოსწორებისაკენ.

რასაკვირველია, თავისთავად ეს ბრალდება შეიძლება დიდი ღირებულების მატარებელი იყოს, რომელიმე ბურჟუისათვის და განსაკუთრებით კი თუ გნებავთ, თვითონ ამ გაფიცულთა ბელადების იმ ნაწილისათვის, რომლებიც უფრო ძლიერათ განიცდიან ბურჟუაზიული სულისკვეთების გავლენას და ლაქიებათ არიან გამხდარნი, დრომოჭმული და ყოვლად გაუმართლებელი ინგლისის ძველისძველი კონსტიტუციისა. მაგრამ მეორეს მხრივ, მართლაც, რომ საკვირველია ის გარემოება, რომ იმ ხალხს ე. ი. გაფიცულთა ბელადების იმ ნაწილს, რომლებიც რევოლიუციონურ სინდისზე სიტყვიერათ რომ იფიცებიან, საქმით მაინც შეესრულებიათ კონსტიტუციის დარღვევა და მისი ძველი არქივში გადაგდება. მაგრამ ამისთვის მათ ხომ საკმარისათ მაგარი ხერხემალი არ აქვთ.

ბოლდუინის მიერ წამოყენებულ ბრალდებაზე პროფკავშირთა საბჭოს ერთი უხეირო რევერანსის გაკეთება მოუხდა და იმის დასამტკიცებლათ, რომ ისინი არ არღვევენ კონსტიტუციის ჩვეულებებს შემდეგი განცხადება გამოუშვეს, როგორც მთავრობის, ისე მშრომელთა ფართო მასის საყურადღებოთ:

„წინააღმდეგ პრემიერის ბრალდებისა, ჩვენ არ ვარღვევთ არც კანონებსა და არც ჩვენი კონსტიტუციის ჩვეულებებს. ჩვენ უამრავი დახმარების წინადადებები მივიღეთ საზღვარგარეთიდან, მაგრამ საზოგადოების დასარწმუნებლათ, რომ ჩვენ არ მივდევთ რევოლიუციონურ მიზნებს, უარვყავით დახმარება მსგავსად იმისა, როგორც არ მივიღეთ ჩვენ რუსეთიდან მიღებული წინადადება“.

აი ამ განცხადებაში უკვე სავსებით გარკვეულათ მოსჩანს ის, რომ გაფიცულთა ხელმძღვანელები არ მისდევენ „რევოლიუციონურ მიზნებს და მათ არ აინტერესებს ბურჟუაზიულ სიმაგრეებზე მაგარი შეტაკებებით და ბრძოლებით მიაღწიონ მის დასანგრევათ.

ამრიგათ თუ კი ერთი მხრივ, გაფიცულთა ხელმძღვანელებს გაფიცვის მოწყობისათვის ბრალათ ედება კონსტიტუციის დარღვევა, მეორეს მხრივ კი თვით ეს გაფიცულთა ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ იმდენათ, რამდენათაც ჩვენ არ გვაქვს დასახული რევოლიუციონური მიზნები ამ გაფიცვების მოწყობით, იმდენათ ჩვენ კონსტიტუციას არ ვარღვევთო. აი ის დამოკიდებულება, რომელსაც ეს ორი ძალა იჩენს ერთიმეორეს წინააღმდეგ.

როგორ გადაწყდება ეს დავა? ვფიქრობთ, რომ ყოველ შემთხვევაში ეს დავა არ გადაწყდება „კონსტიტუციის სავსებით დარღვევით“, რადგან გაფიცულებს რევოლიუციონური მიზნები არ ამოძრავებენ.

და ამით კი ერთხელ კიდევ დამტკიცდება ინგლისის გაფიცვების ბელადების არა რევოლიუციონერობა და მაშასადამე ლაქიობა ბურჟუაზიის წინაშე.

## მეთაურთა თვითგანვითარების შესახებ წერილის გამო

(დისკუსიის წესით)

ამ ბოლო დროს ჩვენი გაზეთ „წ. არმიელში“ დაიწერა წერილები მეთაურთა თვითგანვითარების დაბალი დონის შესახებ.

ერთი მათგანი სამხკორი ამხ. დოლიძე აღნიშნავს, რომ საჭიროა დაარსდეს ნაწილებში ათასეულ ის მასშტაბით „მეთაურთა ბირთვი“, რომელსაც ეყოლება რუსული ენის მცოდნე ხელმძღვანელი და ასე ამ გვარად შეისწავლიან მეთაურები რუსულსაო. აქვე ამბობს თავის წერილში, რომ ზოგი არაა საშუალო ცოდნის მეთაურები, მაგრამ საშუალო ცოდნას მოკლებული მეთაურები, საშუალო ცოდნის მეთაურებს თვითგანვითარებით სჯობნიანო. ამხ. ამბობს—დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თეორიული ცოდნის შეძენას ბროშურების საშვალებითაო, ამხ. სვამს საკითხს ასე: სად უნდა იყოს მოგვარებული სწავლის საკითხი? და უპასუხებს, არა კურსებზე, არა მოსკოვში და არა სამოქალაქო სასწავლებლებში, არამედ საჭიროა ათასეულში დაარსდეს ბირთვი რუსული ენის შესწავლისაო. ამ საკითხში ამხანაგს სრულებით არ შეიძლება დავეთანხმოთ.

მისი აზრით „არ უნდა მივაქციოთ კლასიკურ ცოდნას ყურადღება იმდენი რამდენიც თვითგანვითარებას.“ „საშუალო ცოდნა არც იმდენად საჭიროაო“. მეთაურის მსოფლმხედველობის გაფართოება კლასიკურ ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია, ასე ამ გვარად კლასიკური ცოდნა ფუძეა თვითგანვითარებისა. ეხლა ავიღოთ თუ გინდათ შემდეგი მისი აზრი:

ბროშურების საშვალებით გრამატიკის შესწავლა მასალების დამუშავება და სხვა. როგორ გგონიათ: ბროშურებით შეიძლება გრამატიკის შესწავლა?

რა არის ბროშურა? ბროშურა არის სააგიტაციო მასალა და მეტი არაფერი. იგი სრულებით არაა გრამატიკის შესწავლის საშუალება, მას მხოლოდ პოლიტთემებისა და მოხსენებებისათვის ვიყენებთ და არა ენის შესასწავლად.

ჩემის აზრით ენის შესასწავლად საუკეთესო საშვალებაა კურსებზე წასვლაც, მოსკოვშიდაც და თუ კი შესაძლებელია სამოქალაქო სასწავლებელშიდაც, რომელსაც უარს ჰყოფს სამხკორი დოლიძე.

იქ ჩვენ უკეთ შევიძენთ ცოდნას, როგორც რუსულ ენაში, ისე საერთოდ რუსულ ლიტერატურაშიაც.

ეხლა ავიღოთ ბირთვები. ბირთვი დაარსდეს ათასეულში, დაენიშნოს მას ხელმძღვანელი რომელიც ასწავლისო—ეს ძალიან კარგია, მაგრამ შეიძლება თუ არა ეს? არის თუ არა საამისო პირობები? ენის შესწავლაც არის და ენის შესწავლაც, მაგრამ საამისოდ საჭიროა თვით-მეთაურთა ინტერესი. ამხ. დოლიძე როცა ლაპარაკობს ბირთვზე ნამდვილად მას მხედველობიდან, გამოეპარა ის, რომ ნაწილებში იმდენი ბირთვები არსებობენ, რამდენსაც კაცი ვერ ჩამოთვლის. ნაწილში ბირთვების სიმრავლე არ უნდა გვაინტერესებდეს.

მარტო რუსულის ცოდნაში ხომ არ გამოიხატება თვით განვითარება. მეთაურებმა თვითონ უნდა მოკიდონ თვით განვითარების საქმეს ხელი. ცხოვრება წინ მიდის, წ. არმიელთა მასას მეტი სულიერი მოთხოვნილება ებადება, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მეთაურმა.

იმის ლაპარაკი, რომ ქართული ლიტერატურა არ არისო აღარ შეიძლება, ამის თქმა შეიძლებოდა 1921—22 წლამდის, მაგრამ დღეს ეს არ ითქმის. ყველა მეთაური ვალდებულად უნდა რაცხდეს თავს თანამედროვე მომენტის გარკვევაში და მეტი თვით განვითარების მიღებაში. ამას გვიკარნახებს ცხოვრება.

ვ. ბურდილაძე.

# ახალი რადიო ამბები

## საყოველთაო გაფიცვები ინგლისში

### ინგლისის სასამართლო კანონის საწინააღმდეგოდ სთვლის საყოველთაო გაფიცვას.

კონსერვატორები მოითხოვენ საბჭოთა ორგანიზაციების გამოსახლებას ინგლისიდან

### პროფკავშირთა გენერალური საბჭო ადგენს მუშათა მილიციას შტრეიკბეხერების საწინააღმდეგოდ

გაფიცულთა რიგებს შეუერთდა კიდევ 135.000 მუშა.

### ამერიკა სამხედრო დახმარებას აღუთქვამს ინგლისის მთავრობას.

#### კიდევ 135 ათასი გაფიცული

პროფკავშირთა მთავარ საბჭომ მოუწოდა გაფიცვისაკენ ყველა მანქანათმშენებელ და გემთმშენებელ მუშებს, რომლებიც, დადგენილების თანახმად, დღემდის არ გაფიცულან.

საბჭოს დადგენილების თანახმად უნდა გაიფიცოს კიდევ 135 ათასი მუშა. გაფიცვა დაიწყო გუშინ 12 საათზე.

#### „დეილი მეილი“ გოდავს

გაზ. „დეილი მე ლი“ მოწინავეში სხვათა შორის სწერს: საყოველთაო გაფიცვა აშკარად მარცხდება. მთავრობამ ყოველგვარ ყოყმანის გარეშე უნდა გაუშვას მთავარი საბჭო“.

დასასრულ გაზეთი აცხადებს: „მოსკოვიდან ჩეკი გადმოგზავნილ იქნა არა მარტო გაფიცულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“-ო.

#### ინგლისის სასამართლოს დადგენილება

ინგლისის უზენაეს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ „ეგრედ წოდებული საყოველთაო გაფიცვა“ არალეგალური ნაბიჯია და ეწინააღმდეგება მთავრობას. ის პირები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ გაფიცვას ან მონაწილეობენ შიგ, გამოცხადებული არიან იმ დაცვის გარეშე, რომელიც დადგენილია 1906 წ. გამოცემულ კანონით სამრეწველო განხეთქილების შესახებ. სასამართლოს ასეთი დადგენილება გამოიწვია რეაქციონერ ხაველოკ ვილსონის განცხადებამ, რომლითაც ის შუამდგომლობდა, რათა სასამართლოს აეკრძალა კავშირებისთვის გაფიცულებზე ფულის გაცემა.

#### რა ჯდება გაფიცვა

ლონდონში მყოფ ინგლისის ჟურნალისტების ცნობით ერთი კვირის გაფიცვა პროფკავშირებს უჯდებათ 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი (სტერლინგი დაახლოებით უდრის 9 მანეთს) და რომ გარედან დაუხმარებლად გაფიცვას 4 კვირაზე მეტს ვერ გაუძლებენ.

საქმესთან გაცნობილ პირების გამოანგარიშებით მთავრობას უჯდება გაფიცვა თვეში 140 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

#### მთავრობის ზომები

ინგლისის უმაღლეს სასამართლოს თანამდებობის პირთა კერძო განცხადებით მთავრობას უფლება აქვს დააკავოს პროფკავშირების ფული. თუ რომ დღევანდელი მდგომარეობა გაგრძელდება და მწვავე ხასიათს მიიღებს, შეიძლება მთავრობამ ასეთი ნაბიჯიც გადასდგას.

მოსალოდნელია მთავრობამ უმუშევრებსაც შეუწყვიტოს დახმარება.

#### დაპატიმრება

ინგლისის სხვა და სხვა ქალაქში გრძელდება დაპატიმრება.

ბირმინგამში პოლიციამ დააპატიმრა 20 კაცი საგაფიცვო ბიულეტენის გამოშვებისათვის.

#### პერსელის განცხადება.

მთავარ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პერსელმა განაცხადა:

„მთავრობა ვერ გაბედავს საბჭოს ყველა წევრთა დაპატიმრებას. თუ რომ ის მაინც მიიღებს ამ ზომას, დაპატიმრებულთ შესცვლის ახალი 32 წევრი და ასე შემდეგ“.

დასასრულ პერსელმა განაცხადა, რომ პროფკავშირთა მთავარი საბჭო შეუდგა მუშათა მილიციის 50 ათასიანი კორპუსის შედგენას მთავრობის შტრეიკბეხერთა ორგანიზაციის წინააღმდეგ.

#### უშედეგო ძებნა

ლონდონში გაფიცვებს შემდეგ გამოდის „მუშათა ბიულეტენი“ (კომუნისტური). ბიულეტენი გამოდის 15.000-ანი ტირაჟით.

მთავრობა გაფაციცებით ეძებს ბიულეტენის გამოცემის ადგილს, მაგრამ ამაოდ.

## საბჭოთა კავშირში

### თანაგრძნობის კამპანია

სსრკ—ს ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები მიტინგებისა და შეწირულებათა ჩატარების შესახებ ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ

ინგლისის გაფიცვებთან დაკავშირებით, უცხოეთის გემების უფროსებმა ხელწერილი ჩამოართვეს მეზღვაურებს არ იარონ პროფკავშირთა კლუბებში.

მიუხედავად ამისა მოხდა უცხოეთის მეზღვაურთა კრება, რომლებმაც განაცხადეს, რომ დგება დრო კაპიტალის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლისა.

## 273 ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ

მიმდინარე წლის პირველ თვეებში ქარხანა „წითელ პუტილოველმა" დაამზადა 273 ტრაქტორი.

## ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

11 მაისს გაიხსნა ფეიქართა მეშვიდე სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელსაც ესწრება 700-მდი დელეგატი.

ყრილობა გახსნა კავშირის ცეკას მდივანმა **ლებედევმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ფეიქართა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს პროფმოძრაობაში, როგორც რიცხობრივად, ისე თავისი მუშაობის მოცულობით. კავშირი აერთიანებს 730 ათას წევრს.

ბოლოს ყრილობამ მოისმინა სკპ-ს ცეკას, ცენტრ. პროფსაბჭოს მისალმებანი და სხვა.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

## ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ქუთაისის სამაზრო გლეხკომი შეუდგა გლეხის სახლის შეკეთებას. ტახტების რიცხვი გადიდებულ იქნება ოცდაათამდი.

## 26 ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ

26 კომუნართა სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში (ქუთაისში) გასულ თვესთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7 პროცენტით. აპრილში დამუშავებულ იქნა 5 მილიონი 556 ათასი ცალი პაპიროსი, ე. ი. 666 ათასით ნორმაზე მეტი.

ქარხანაში ზედნართი ხარჯები შემცირებულ იქნა 10 პროცენტით.

# ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ

## ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ

მიმდინარე წელს ჩაის პლანტაციები გაფართოებულ იქნება 1.300 დესეტინამდი, ე. ი. 10 პროცენტით გასულ წელთან შედარებით.

## ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲙᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**ფიზკულტურა ზაფხულზე**

საბანაკო თვეებში, თავისუფალ ჰაერზე, სასპორტო მეცადინეობის მიზანია მეომრის არა მარტო ფიზიკურად გამაგრება. მეომარი აქ უნდა შეეჩვიოს იმ მოძრაობასა და ხერხს, რომლებიც აუცილებელია საბრძოლო გარემოებაში. გარდა ამისა ფიზიკური მეცადინეობა, როგორიცაა შეჯიბრი და თამაში, ჰქმნის მხნე, სად განწყობილებასა და ამხანაგურ ერთსულოვნებას. ფიზიკურ მომზადებისთვის მეცადინეობა ტარდება სავალდებულო წესით, განსაკუთრებულ საათებში და სრულ ნებაყოფლობითი საფუძველზე. განსაკუთრებულ საათებში მეცადინეობა სწარმოებს განსაზღვრულ გეგმით, განსაზღვრულ ამოცანის მიხედვით და სავალდებულოა ყველასთვის. საკლუბო მეცადინეობა მისდევს იმ მიზნებს, რათა წითელ არმიელს მისცეს გონებრივი, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო დასვენება თავისუფალ დროს.

სად და როგორ ტარდება სასპორტო მუშაობა?

**მუშაობა ლენკარვებში**

დღიურ მეცადინეობის შემდეგ წითელ არმიელები იკრიბებიან ასეულის ლენკარვებში დასასვენებლად. აქ სპორტი ტარდება უბრალო თავშესაქცევ თამაშის სახით.

თამაში ისე უნდა იქნას დაყენებული, რათა ყველა წითელ არმიელები ძალაუნებურად ჩაებენ თამაშში, რათა არ გრძნობდენ რაიმე იძულებას და მართლაც ისვენებდენ.

**მუშაობა სამხედრო-სასპორტო წრეში**

ლენინის კარვებში მეცადინეობის დროს, ღებულია, გამოჩნდებიან აქტივისტები, რომლებიც მოისურვებენ გაწვრთნას ფიზიკურ დარგში. ასეთი ამხანაგები გაერთიანებულ უნდა იქნან ნაწილის სასპორტო წრეში. აქ მუშაობა სდგება გაცილებით უფრო ფართედ და მოძრავ და სასპორტო თამაშთან ერთად განვითარებულ უნდა იქნას: ტანვარჯიში, მსუბუქი და მძიმე ატლეტიკა, სპორტი წყალზე და სხვა.

გარდა თვითგაწვრთნისა და დახელოვნებისა წრე ყოველმხრივ უნდა სცდილობდეს მოამზადოს ასეულის ლენკუთხეებში მეცადინეობის ხელმძღვანელები.

**მასიური მუშაობა**

საუკეთესო ხერხად მასების მისაზიდავად სასპორტო მეცადინეობაში ითვლება შეჯიბრი. შეჯიბრი მოხდენილად უნდა იქნას მოწყობილი. ყოველგვარი შეჯიბრი ფართედ უნდა იქნას გამოცხადებული, არ უნდა იყოს ხანგრძლივი და დამღლელი. ჯილდოს დარიგებას საზეიმო ხასიათი უნდა მიეცეს.

შეჯიბრის ჩასატარებლად არაა სავალდებულო ვრცელი პროგრამის შედგენა. საჭიროა ყოველი მეცადინეობა ჩაყენებულ იქნას შეჯიბრების სად კალაპოტში.

ჩვენი ნაწილების ბანაკად გასვლა უკვე დაიწყო. ფიზკულტურის მუშაობაც კარს მოგვადგომია. საჭიროა დაჩქარებით ვიზრუნოთ ყველა სამეცადინო ადგილების მოსაწყობად და შევიძინოთ სასპორტო მოწყობილობა.

გ.

## ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ"

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲞᲝᲚᲘᲢ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ

(1-ლი დივ. საარტილერიო ლეგიონი)

ამ ბოლო დროს უფროსი პოლიტ-ხელის და მასწავლებლის ხელმძღვანელობით პოლიტ-კაბინეტში მუშაობა გამოცოცხლდა. თუ წინათ პოლიტ-კაბინეტში ნაკლებათ ხდებოდა ჯგუფის ხელმძღვანელების მეთოდიური თათბირები, ოქმების გარჩევა, კოლექტიურად პოლიტსაათის კონსპექტის შედგენა, საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება და ჯგუფის ხელმძღვანელების მეთოდიურ დარგში მეცადინეობა დღეს ყველა ეს სისტემატიურ ხასიათს ღებულობს და თანდათან კომპლექსურ მეთოდით მეცადინეობა ჯგუფის ხელმძღვანელებს უადვილდებათ. კაბინეტში მოგვეპოვება საკმაო სქემები, როგორც სასკოლო ისე სკოლის გარეშე მუშაობისათვის. ხდება მათი გარჩევა კოლექტიურად და შემდეგ გამოყენება მისი. მხოლოდ ერთ-ერთ ხელშემშლელად ითვლება ჯგუფის ხელმძღვანელებისათვის ორ… წლიან პროგრამაში დასახელებულ ლიტერატურის უქონლობა.

ლიტერატურა ჯგუფის ხელმძღვანელთათვის კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ წინასწარ იმეცადინეოს და გაალრმავოს თავისი ცოდნა და აგრეთვე კონსპექტების დროს წინასწარი მუშაობა თემის ირგვლივ წაკითხული გამოიყენოს. საერთოდ ჯგუფის ხელმძღვანელების სწორედ შერჩევამ და სწორმა დაყოფამ გამოწვევის და ცოდნის მიხედვით ზამთრის პერიოდში წარსულ წელთან შედარებით ორჯელ გაადიდა შეთვისება და წითელ არმიელთა აქტიურობა პოლიტ-თემების გარშემო გაიზარდა.

თვალსაჩინოების გამოყენება მეცადინეობის დროს დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ რუქების უქონლობა (არა საკმარისი) ხელს გვიშლის, რაც თავის დროზე უნდა იქნას შეძენილი.

ტ. მ მალაძე.

## ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐ-- ᲗᲣ?

იმ მიზნით, რომ პოლიტხელები და ჯგუფების ხელმძღვანელები მომზადებული შეხვდენ საბანაკო მუშაობას და რომ ამ მიზნით წინასწარ დამუშავებული იქნეს პოლიტმეცადინეობის საზაფხულო პროგრამა და მასთან გაშუქებული იქნეს ორგანიზაციული და მეთოდიური საკითხები პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისა საბანაკო პირობებში, ამისათვის ქუთაისის გარნიზონში მოეწყო პოლიტხელების და ჯგუფის ხელმძღვანელების ორკვირეული სემინარი. სემინარი გაიხსნა 6-მაისს მე-3 ლეგ. შენობაში. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც პოლიტშემადგენლობა დატვირთულია საბანაკოთ გასვლის სამზადისით მიზანშეუწონელია ასეთი სემინარის მოწყობა. სემინარის მეცადინეობას 70 პროც. პოლიტხელებისა არ ესწრება, სხვა და სხვა მიზეზების გამო.

აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ეს პირველი ნაბიჯი არის წინასწარ მომზადებისა ბანაკად მიმავალ პოლიტშემადგენლობისათვის, მაგრამ საუბედუროთ მიზანშეუწონელია სემინარიის ასეთი მუშაობა, როგორც დღეს ის არის 30 პროც. მსმენელების შემადგენლობით…

რომ ჩვენს მუშაობას ფართო მასშტაბით ექნეს საფუძვლიანი მნიშვნელობა, საჭიროა სემინარული მეცადინეობაზე ესწრებოდეს 80 პროც. მაინც მსმენელებისა, რაც მოგვცემს საშვალებას და გაგვიადვილებს საბანაკო პერიოდში მუშაობის ჩატარებას.

ვფიქრობთ, რომ უთუოდ ამას მოაგვარებს პოლიტგანყოფილება…

მტკვრისპირელი.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ *)

თუ ავიღებთ ქონებას, რომელიც სახელმწიფოს ხელშია, დავინახავთ შემდეგს: სახელმწიფოს ეკუთვნის მთელი ქონების 11,7 მილიარდისა ჩერვონულ მანეთებში, კერძო მწარმოებლებს და განსაკუთრებით სოფლის მეურნეთ 7 ნახ. მილიარდზე ნაკლები. ეს ცნობა ამტკიცებს იმ დებულებას, რომ ჩვენი სახელმწიფოს ხვედრითი წინა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში გაცილებით უფრო მეტია ვიდრე კერძო მწარმოებლის. აქედან დასკვნა იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობას არ შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო „კაპიტალიზმი, ისე როგორც სოციალისტური. ის თანმიმდევრობით სოციალისტურ ტიპის მეურნეობაა.

ჩვენი წარმოების ზრდასთან უშუალოდ დაკავშირებულია ზრდა ჩვენი სამრეწველო პროლეტარიატისა, რომლის ზრდა ჯერ კიდევ 1905 წლიდან იწყება, გადადის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციებში, როდესაც ის უკვე ხელისუფლების ბატონ-პატრონი ხდება. სადაოა ის დებულება, რომ დიდი პროცენტი ჩვენი მოსახლეობისა სოფლის მეურნენი არიან, მაგრამ უდაოა ის დებულება, რომ ქალაქის პროლეტარიატის რიცხვი იზრდება, როგორც აბსოლიუტურათ ისე შედარებით. ეს ზრდა გამოწვეული ჩვენი ქვეყნის საერთო სამეურნეო განვითარებით, პარტიისა და ხელისუფლების წინაშე სვამს მთელ რიგ საკითხებს. თანამედროვე მუშა უკვე აღარ არის ის რაც იყო 8 წლის წინათ. ოქტომბრის რევოლიუციამ არსებითად შესცვალა მისი ეკონომიური მდგომარეობა და შესძლება მისცა ფართო პოლიტიკურ არენაზე საქმიანობისა. თუ ჩვენ ვლაპარაკობდით გლეხურ მასის აქტიობაზე, მით უფრო მეტი ითქმის პროლეტარულ მასის აქტიობაზე, რაც გამოსახულებას პოულობს მთელ რიგ მოვლენებში, რომელსაც პარტიამ და ხელისუფლებამ უნდა მისცეს განსაზღვრული მიმართულება.

თუ გადავხედავთ ცნობებს, რომელიც ეხებიან ჩვენი სამრეწველო პროლეტარიატის ზრდას და სხვადასხვა წარმოების დარგში დავინახავთ შემდეგ ამბავს: დაწყებული 1923 წლიდან ზოგ წარმოებაში ხდება გაზრდა პროლეტართა რიცხვისა ზოგ წარმოებაში კი შემცირება. მაგრამ საერთოდ, რომ ავიღოთ უეჭველად ხდება ყველა წარმოების დარგში აბსოლიუტური და შედარებითი ზრდა.

მუშათა რიცხვი აბსოლიუტურ რიცხვებში.

| | 1923-24 წ. | 1924-25. |
|---|---|---|
| სამთო წარ. | 267.700 | 231.068 |
| ლითონის დამმ. წარ. | 196.713 | 246.173 |
| ელექტრო-ტეხნიკ. წარ. | 16.542 | 19837 |
| საქსოვ წარ. | 384.398 | 499.536 |
| ქიმიურ წარ. | 47.098 | 52.652 |
| ფაიფურისა და მინების წარ. | 52.638 | 71.498 |
| ქაღალდის წ. | 24.069 | 26.918 |
| ტყის წარ. | 42.430 | 43.615 |
| ტყავის წარ. | 28.701 | 34.000 |
| უშუალო მოსახ. საგნ. წ. | 130.522 | 136.917 |

როგორც ამ რიცხვებიდან სჩანს ყველაზე მეტი ზრდა მუშაობისა, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმული წარმოებაში მოდის საქსოვ მრეწველობაზე, შემდეგ მოდის ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა და შემდეგ სამთო წარმოება.

სულ მთელი მუშათა რიცხვი უდრიდა:

| 1923-24 წ. | 1924-25 წ. |
|---|---|
| 1.190.741. | 1.361.214. |

ჩვენი წარმოების ეკონომიურ და ტეხნიკურ ზრდასთან ერთად თავისთავად ცხადია უნდა გაიზარდოს მუშათა რიცხვი, რომელიც იქნება წარმოებაში ჩაბმული. არსებითი ჩვენი წარმოებისთვის, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ არის ის, რომ ჩვენი წარმოება გეგმიანია. თუ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ყველა ახალი ტეხნიკური გაუმჯობესება იწვევს სამუშაო ძალის წარმოების გარეშე დატოვებას და აქედან უმუშევრობის ზრდას, ჩვენ წარმოებაში კი პირიქით, ყოველი ტეხნიკური და ეკონომიური ზრდა იწვევს წარმოების გაფართოებას შეფარდებით ბაზრის მოთხოვნილებისა და აქედან უმუშევრობის შემცირებას. ასე რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხი არის არა მხოლოდ ეკონომიური საკითხი, ის სოციალ-პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხია. უმუშევრობის მოსპობა უდიდესი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ფორმალურ ეკონომიურ განვითარებისათვის. თანახმად იმ გეგმისა, რომელიც გათვალისწინებული აქვს საგეგმო კომისიას 1925-26 წ. წარმოების სხვა და სხვა დარგში მასში მომუშავეთა რიცხვი უნდა გაიზარდოს შემდეგი მიმართულებით:

| | მუშათა რიცხვი | %-1924-25 წ. შეფარ. |
|---|---|---|
| სამთო წარ. | 267.940 | 116 |
| ლით. დამუშ. წ. | 320.000 | 130 |
| ელექტრო-ტეხ. წარმოებაში | 28.320 | 143 |
| საქსოვ წარ. | 585.974 | 117 |
| ქიმიურ წარ. | 58.610 | 111 |
| ფაიფურისა და მინების წარ. | 95.475 | 133 |
| ქაღალდის წარ. | 29.100 | 108 |
| ტყის წარმოება | 55.000 | 127 |
| ტყავის წარმოება | 35.000 | 103 |
| უშუალო მოსახ. საგ. წარმოება | 165.734 | 122 |

ყველაზე მეტი გაზრდა უნდა მოხდეს თანახმად ამ ცნობებისა ელექტრო-ტეხნიკურ წარმოებაში (143 პროც.) შემდეგ ფაიფურისა და მინის წარმოებაში (133 პროც.) და ლითონის დამმუშავებელ წარმოებაში (130 პროც.). ეს ზრდა მუშათა რიცხვისა აღნიშნა თავის მოხსენებაში ამხ. სტალინმაც, როდესაც ის ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხების შესახებ. რა პრაქტიკული დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ აქედან? მხოლოდ ის, რომ საჭიროა მაქსიმუმ… ყურადღების მიპყრობა იმ კლასის მიმართ, რომელიც მეტ… აქტიობას იჩენს, რომელიც სახელმწიფოს ბატონ-პატრონია. ერთი მხრივ გლეხთა აქტიობის გაზრდა, მეორე მხრივ მუშათა აქტიობისა წინა რიგში აყენებს საკითხს:

1. უზრუნველყოფა პროლეტარიატისა და ულარიბეს გლეხების კავშირისა საშუალო გლეხობასთან.

2. უზრუნველყოფა ხელმძღვანელობისა პროლეტარიატისაგან ამ კავშირში.

3. პოლიტიკური იზოლაცია კულაკისა და მისი ეკონომიური განადგურება და მოსპობა.

—ლია.

*) იხ. ჩვენი გაზეთის № 102 (1097)

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## საჭიროა განტვირთვა

**1-ლი ცალკე მესანგრე ასეული**

მეთაურთა განვითარების სა-
თხი სპეციალურ ნაწილებში
ურო მწვავეთ სდგას, ვიდრე
ეითა და სხვა ნაწილებში.

სპეცნაწილებში უფრო მე-
ად არიან დატვირთული მწ-
ობრის მეთაურები.

სპეცნაწილები მით განსხვა-
ება დანარჩენ ნაწილებისაგან,
ომ აქ მეთაურს უხდება სპე-
იალური საგნების გავლა თი-
ემის სკოლის მეთოდით კლა-
ებში და ყოველ დღიურად
ა ნაკლები 6 საათისა მეცა-
ინეობა. ამავე დროს ყველა
გნის მოსამზადებლად საჭირო
ის დრო, მით უმეტეს, რომ
ეხნიკური საგნების სახელმძ-
ვანელოები არის რუსულ ენ-
ე. მიუხედავათ ამისა, მათ
ეულის მეთაურისაგან საერთო
სით ეძლევათ ამოცანები,
ომლის სისრულეში მოყვანი-
თვის კვირა და უქმე დღეე-
ც კი სჭირდებათ. ყველა ეს
არემოება ხელს უშლის მეთა-
რების სასკოლო და სკოლის
არეშე მუშაობაში ჩაბმას. ვერც
ოთ მეთაურს თვეების განმავ-
ობაში ასეულის მეთაურიდან
აწყებული, ვერ ნახავთ მეცა-
ინეობის შემდეგ ასეულში.
ველა თავებ გაბრუებული მი-
ეშურება დასასვენებლად.

ნაწილს არც ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი და არც წრის ხელმძღვანელი არ ყავს. თვით ნაწილის მეთაური, რომელიც დღევანდელ პირობებში ნაწილობრივად მუშაობის სულის ჩამდგმელი უნდა იყოს, მეცადინეობის შემდეგ ზოგჯერ ვერც ნახავთ ნაწილში. და არც იცის თუ რა კეთდება. საჭიროა მიექცეს ყურადღება და გამონახული იქნას საშუალება განტვირთვისათვის. მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში ტარდება ერთ უფროსიანობა, რომელიც გამოიხატება მეთაურის ორივე (პოლიტ-სამწყ.) საქმისადმი ხელმძვანელობაში, ე. ი. მეთაური უნდა იყოს მომზადებული წ. არმიელთა აღსაზრდელათ ყოველმხრივ. საიდან უნდა შევსძლოთ ეს თუ არა მეთაურთა პრაქტიკულად სხვა და სხვა პოლიტ-კულტურულ განათლების საქმეში ჩაბმისა?

დროა ვისგანაც ჯერ არს მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება, რომ გულდასმით მოვკიდოთ ხელი წ. არმ-თა ყოველივე მხრით აღზრდის საქმეს.

**ტორი.**

## მომზადებული ხვდებით

**მე-4 ლეგ. მე-8 ასეული.**

ჩვენი ასეული კარგა ხანია ემზადებოდა ცვალებადელების შესახვედრად. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ ღირსეულად დაუხვდეთ ახალგაზრდობას და გაუადვილოდ ყაზარმული ცხოვრება და სამხედრო საქმის შესწავლა. ასეულში გათვალისწინებულია უკვე, თუ რა უნდა ვაკეთოთ ახალწვეულებთან და როგორ. წითელ არმიელები ემზადებიან ისე შეხვდენ მათ, რომ შეაყვარონ წითელი ყაზარმა, წითელი ჯარი და მასში წარმოებული მუშაობა.

ჩვენ შევსძლებთ პირნათლად შევასრულოთ ამ მხრივ ყველა დავალებები და მომზადებული ამხანაგები დაუბრუნოთ სოფლებს უკან.

**ხარებაშვილი.**

## როგორ ვსწავლობთ პოლიტსაათს

**4-ე ლეგ. 9 ასეული**

ასეულში წარმატებით სწარმოებს პოლიტ საათში მეცადინეობა. მეცადინეობა კომპლექსიური მეთოდით სწარმოებს და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებთან ერთად გავდივართ სხვა და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის, ეკონომიურ ცხოვრებას და სხვა.

უკვე შევისწავლეთ და გავიცანით, თუ ვინ არიან ჩვენი კავშირის მტრები და მოყვარენი, როგორ დამოკიდებულებაში არიან ჩვენთან. საერთოდ მეტად აინტერესებს პოლიტსაათი წითელ არმიელებს და ენერგიულადაც მეცადინეობენ.

სახელმძღვანელო ლიტერატურა საკმაოდ მოგვეპოვება.

**ა. იმერლიშვილი.**

## საჭიროა კრებების რიცხვის შემცირება.

შარშან მთელი არმიის მაშტაბით სწარმოებდა ერთხანს კამათი გახშირებულ კრებების შესახებ ნაწილებში. რის გამო უფპოლიტ-შემადგენლობა გადაჭარბებულად იყო დატვირთული და რომლებსაც, სიმართლე უნდა ითქვას, მაინცდამაინც დიდი სარგებლობა არ მოქონდა; შარშანდელი კამათი გადაწყდა უფპოლიტ-შემადგენლობის სასარგებლოდ. თანახმად არმიისადმი ბრძანებებისა შემცირდა კრებების რიცხვი და ამ გვარად, ხშირი კრებებით მობეზრებულმა უფპოლიტ-შემადგენლობამ იგრძნო თავისუფლება. მაგრამ რას ვხედავთ ეხლა? (მე ვლაპარაკობ ჩვენს ნაწილზე, მაგრამ ასეა ვგონებ სხვაგანაც). თანდათანობით ფეხს იკიდებს ის მდგომარეობა, როგორიც იყო გასულ წელს: კრებების რიცხვი მრავლდება. ჩვენი ნაწილის პირობებში ყოველ დღე ნახევარში მოგვდის ერთი კრება; ავიოქიმის კრება, რემედასის კრება, წერკუმსის კრება, სამხ.-სამეცნიერო წრის კრება, პარტ-კრება, უპარტიოთა კრება, მე-2 საფეხურის პარტ-სკოლის კრება და სხვა და სხვა თათბირები; ხშირია ისეთი მოვლენაც, რომ ერთი კრებიდან მეორეზე მიდის მეთაური, მეორედან თუ ბედმა გაუღიმა— მესამეზედაც მოხვდება, რის შემდეგ სკოლის გარეშე მუშაობაშიდაც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ასე ხშირი კრებები უფპოლიტ-შემადგენლობას ძალა უნებურად მოაგონებს გასული წლის მდგომარეობას.

ერთხელ ჩვენი ნაწილის კედლის გაზეთშიც კი მოათავსეს წერილი სურათით ამის შესახებ, მაგრამ მაინც არა ეშველა რა.

საჭიროა მოხდეს კრებების შემცირება რითაც მეტი დრო მიეცემა უფ-პოლიტ-შემადგენლობას თვით-განვითარებისათვის.

**ვ. ბურდილაძე.**

## ჩვენს ლენ-კუთხეში

**მე-6 ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში კარგად არის ასეულების ლენკუთხეები დაყებული. გაზეთები და ჟურნალები საკმაოდ მოიპოვება, მკითხველეც ბევრი ყავს; ტარდება ხმა-მაღალი კითხვა და სხვა და სხვა ხაიათის საუბრები. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მარტო ამით ო შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი გაკეთებულია და ნაკლი არა ქვს. ლენკუთხეში ცოტა წიგნებია, ისიც სულ ერთი და იგივე უმიშვნელო ბროშურები, რომლებიც წითელ არმიელთა მასას არ კმაყოფილებენ. ამას კი ყურადღება ნაკლები ექცევა ლეგ-ბიბლიოთეკის გამგის მიერ.

წითელ არმიელი მარტო ჟურნალ გაზეთით ვერ მიიღებს ცონას, მას უნდა მივაწოდოთ ისეთი მნიშვნელოვანი წიგნებიც, რომლებითაც მას შეეძლება, დაიკმაყოფილოს თავის სულიერი მოთხოვნილება. ამ მხრივ კი ჩვენი საქმიანობა მოისუსტებს.

საჭიროა დროზე იქნას ეს გარემოება გამოსწორებული ვისგანაც ჯერ არს.

**ნინუაკუთხელი.**

## წკეპლები

(სამხკორთა წერილებიდან)

**წითელ არმიელი ზარმაცაშვილი**

წითელ არმიელი ზარმაცაშვილი ერთი კვირაა, რაც დაიარება დაფიქრებული. მისი შუბლის ნაოჭები შეჭმუხვნილია, თითქოს ზარმაცაშვილის ტვინში იმალება რაღაც არაჩვეულებრივი, გენიალური აზრი და ეს აზრი ვერ პოულობს ტვინის კოლოფიდან გამოსასვლელ გზას.

ფიქრობს ზარმაცაშვილი დღისით, ღამით, სადილათ, ვახშმათ, ყაზარმაში, ქუჩაში.

და უცებ გაიხსნა შუბლი ზარმაცაშვილისა.

— ვიპოვნე, ვიპოვნე, რასაც ვეძებდი, შეჰყვირა ზარმაცაშვილმა და გაიქცა ქაღალდის, კონვერტის და მარკის სახყიდლათ. შემდეგ, დაჯდა და წიგნი დასწერა შემდეგი შინაარსისა:

„საყვარელო დედა! მომწყინდა ყაზარმაში ყოფნა, მომესურვა სოფელი, ბოსელი და ჩვენი ნიშა ხარი. მინდა წავიქეიფო სოფლად, ქვევრის პირას. აღარ მინდა სწავლა და შაშხანა თოფის ხილვა, მწყურია ღვინო და ძილი. ამიტომ, მიიღო თუ არა ეს წერილი, გამოგზავნე დეპეშა, ვითომ შენ მივარდნილი ხარ სიკვდილის პირად. მაშინ უეჭველია, გამომიშვებენ ყაზარმიდან და შევისრულებ გულის წადილს. შენი შვილი ზარმაცაშვილი“.

დასწერა ესე უსტარი და ჩაუშვა საფოსტო ყუთში. დადის ამის შემდეგ ზარმაცაშვილი იმედიანათ. ელოდება სახლიდან დეპეშას.

შეუსრულდა ნატვრა.

— ამხ. ზარმაცაშვილო, თქვენ სახელზე დეპეშაა.

წაიკითხა. ეწერა შიგ „დედა გიკვდება, ჩამოდი მალე“.

შექმნა ტირილი და ვაება ზარმაცაშვილმა.

გულში კი იცინოდა: „რა კარგი იშკილია, მოგატყუეთ, მოგატყუეთ“.

ნეტა ვიცოდე, ბევრია ამისთანა ზარმაცაშვილი ჩვენ ჯარის რიგებში?

**აჲა ამბავი ერთ ფსევდონიმზე**

სამხკორმა №-მა დაათავა წერილის წერა. დაუსვა უკანასკნელი წერტილი და უცებ მწარედ დაფიქრდა.

რაზე ფიქრობდა სამხკორი? ან რა ჰქონდა საფიქრებელი? ხომ მორჩა წერილს.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ რა მოვაწერო წერილს, დავწერო ნამდვილი გვარი, არ ივარგებს; რა წყალში გადავარდე?

— ჰა, მომაგონდა, ამას წინათ ექიმი რომ გვესაუბრებოდა, ერთი კარგი სიტყვა იხმარა. ღმერთო მომაგონე, ღმერთო მომაგონე.

მოაგონდა: გონოკოკი და დააწერა წერილს ეს ფრიად სიმპატიური სახელი სუსუნატის გამომწვევ ბაცილისა.

რედაქციამ მიიღო წერილი და დარჩა სახტათ: ეს რა ფსევდონიმია, სად გამოძებნა პატივცემულმა სამხკორმა ეს ბაცილა, რამ მოაფიქრებინა, რომ კოხტა წერილს მოაბა ბაცილა.

მართლა და მართლა, განა ფსევდონიმი ისეთი რამე ხომ არ არის, რომ აიღო და დასწერო, რაც ენაზე მოგადგება. გონოკოკს ჯანი გავარდეს! ხანდახან ისეთ ფსევდონიმს წააწყდები, რომ ფაღარათი გემართება.

**ე. ხ.**

## ღამე თბილისზე.

შვებულების დღე იყო.

მზე გადიხარა დასავლეთისკენ. კოჯრის მხრიდან დაჰბერა გრილმა ნიავმა. სიცხით შეხუთულმა ქალაქმა შვება იგრძნო და თავისუფლად ამოისუნთქა.

ქუჩებში მრავლად გამოიშალა ხალხი. სახლში აღარავის უდგებოდა გული. ყველა ეტანებოდა გაშლილ ალაგს, ბაღებს.

ნიკოს და ევტიხისაც მოუნდათ სუნთქვა სუფთა ჰაერით, აიღეს ქუდები და გამოვიდნენ ყაზარმიდან.

გაიარეს მოედანი, გასცდნენ აბანოებს და შეუდგნენ ბოტანიკურ ბაღის აღმართს იმ ადგილას, საიდანაც გადმოჰყურებენ ქალაქის ძველ ნაწილს ნარიყალას ნანგრევები.

მზე ემზადებოდა ჩასასვლელად. მისი უკანასკნელი სხივები ელერსებოდნენ გამოთხოვების ჟამს თბილისს.

მაღლიდან თბილისი ისე მოჩანდა, როგორც ხელის გულზე. დიდუბე, სოლოლაკი, ლენინის უბანი... წითელ სასახლეზე აღმართულ დროშას საღამოს ნიავი ტკბილად ეალერსებოდა და ნელა აღელვებდა.

კარგია თბილისი, ოდეს მას დასცქერი ზევიდან. მოგესმის რაღაც გაურკვეველი გუგუნი, გრძნობ, რომ იქ ქვეით სდუღს სიცოცხლე. აი გამოკრთა პირველი ელექტროს შუქი, მას მოჰყვა მეორე, მესამე და მალე მთელი ქალაქი გადიქცა ელექტროს ზღვათ, ლივლივებს ქალაქი, ის მთლად ჩანთქმულია ელექტროს შუქში, გუგუნი კი ისევ ისმის, არ იძინებს თბილისი, იგი ყოველთვის ფხიზლად არის.

— —

— დახედე, ევტიხი, რა ლამაზია თბილისი, თვალები მიჭრელდება, არ შემიძლია უყურო ამოდენა ელექტროს ზღვას, თავბრუ მესხმის.

— მაინც რომ კარგია! დღისითაც ლამაზია და ღამითაც თბილისი.

— ნახე, ეს ნარიყალა როგორ პირქუშათ იყურება, ალბათ ვერ შესჩვევია ჯერ კიდევ ახალ სანახაობას, ძველი დრო აგონდება, აკვირვებს სინათლე, ხმაური. ეს მითხარ, ევტიხი, ხომ დიდი ხნისაა ეს ციხე, ვინ იცის რა არ უნახავს, რა არ გაუგონია. ვინ მოსთვლის, რაოდენ ხალხის სისხლი უღვრია მის კალთებზე; რამდენჯერ დანგრეულა, კვლავ აღშენებულა: ვინ არ შესულა შიგ: სპარსი, ოსმალი, ლეკი, მონღოლი. მაგრამ, დღევანდელ დღით იგი გაკვირვებული არის, განა მოსწრებია იგი ამისთანა ხანას? აი, გადახედე თვით თბილისს. იგიც ისევე ძველია, როგორც ნარიყალა, ბევრის მნახველია თბილისი, ბევრი ომი გამოუვლია. მაგრამ იგიც გაკვირვებულია ალბათ. ამ ქალაქში, სადაც ოდესღაც ძმა ძმის სისხლსა ღვრიდა, ერთი ხალხი მეორეს ელეტდა, დღეს სუფევს ძმობა და ერთობა. ქართველი, სომეხი, რუსი, თათარი—ყველა ძმაა, მუშაობენ ტკბილად, ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი. განა თბილისს, ან ნარიყალას, ან მოხუც მეტეხს უნახავთ ასეთი ძმური კავშირი?

— რა შორს მივდივართ, ჩემო ძმაო, არ გახსოვს თუ ამ ხუთი წლის წინათ, ერთმანეთს რომ გადაგვკიდეს ქართველები და სომხები. რა გვქონდა გასაყოფი, ან საომარი. რას ერჩოდა ქართველი გლეხი მასავით დაჩაგრულ სომეხ გლეხს. ისინი ხომ ძმები არიან, შრომის შვილნი.

— ჩაბარდა ძმაო, ძველი დრო პატრონს, აღარ განმეორდება. მოხუცი თბილისი მოწამეა ახალ ცხოვრების, ახალ ხანის დასაწყისის. აი იქ, ქვეით იჭედება ახალი ხანა, იზრდება ახალი თაობა. ხომ გესმის ხმაური?. აი ეს ხმაური აუწყებს ყველას, ჯერეთ კიდევ ურჩთ, ურწმუნოთ, რომ აღარ დაბრუნდება ძველი დრო.

იქ ქვევით ძმურათ მუშაობს რუსი, ქართველი, სომეხი. აღარ არის გარჩევა. ან რით უნდა იყვეს. ყველანი ერთნი ვართ. შრომა ყველას გვაერთიანებს.

შორიდან მოისმა ორკესტრის ხმა. ორი ამხანაგი სმენათ გადაიქცა. ხმები თანდათან ახლოვდებოდა და მალე მათ გაარჩიეს ინტერნაციონალის ჰანგი.

— ჰეი, გესმის, შენ, ნარიყალავ, ძველო ციხეო! აი ჰანგი, რომელიც არის აღმოხეთქილი მშრომელი ხალხის გულის წიაღიდან. კარგათ შეიგრძნე. იცი, რას ამბობს იგი:

„ძველ ქვეყანას მოვსპობთ
სრულად,
აღმოვფხვრით ძირ-ფესვიანად,
ჩვენ ჩვენ ქვეყანას შევქმნით
ახალს,
არარას გავხდით სვიანად“.

არა, ნუ გეშინიან, არ დაგანგრევთ, იდექი ეგრე და იყავ მოწამე, თუ მშრომელი ხალხი როგორ აშენებს ახალ ცხოვრებას, როგორი თავგამოდებით იბრძვის ახალ ქვეყნის შესაქმნელად.

— —

კარგა დაღამებული იყო, როდესაც ნიკო და ევტიხი დაბრუნდნენ ყაზარმაში.

ამხანაგებს უკვე ეძინათ ტკბილი ძილით, როგორც შეჰფერის დღიურ შრომით დაქანცულთ.

ნიკომ და ევტიხიმ ტანთ გაიხადეს და დაწვნენ, მხოლოდ არ ეძინებოდათ კი. მომავალზე ფიქრმა შორს გაიტაცა ორთავენი. მათ წარმოუდგათ მომავალი ცხოვრება, ოდეს ყველა იქნება შრომაში გართული, ოდეს აღარ იქნება ამ ქვეყნათ მჩაგვრელი და ჩაგრული, ოდეს ყველანი იქნებიან თანასწორნი.

და ორივე ამხანაგი კმაყოფილნი იყვნენ, რომ ისინიც ჩაბმულნი არიან მუშაობაში ამ ნათელ მომავალ ქვეყნის აშენებაში და შეაქვთ ამ დიდ საქმეში თავიანთი პატარა წვლილი.

**ელეაზარი.**

# სამხედრო კუთხე

## კედლის გაზეთი და სამხკორთა წრე ბანაკში.

საბანაკო ცხოვრების პირობები ძლიერ განსხვავდებიან საზამთრო—ყაზარმული პირობებისაგან. საბანაკო პერიოდში წითელ არმიელი ეჩვევა იწვრთნება და იძენს გამოცდილებებს საომარი მდგომარეობისათვის.

იმისათვის რომ სამხკორმა შესაფერი დახმარება გაუწიოს პარტიას საბანაკო სწავლების დროს სასურველი შედეგების მიღებაში, საჭიროა თვითონ მან გაუწალდოს გზა სამხკორებს ამისათვის და მისცეს მათ მუშაობის შესაფერი გეგმა.

ზაფხულის განმავლობაში ისე უნდა მოეწყოს სამხკორთა მუშაობა, რომ მათ (სამხკორებმა) შესძლონ თავიანთი ამოცანების შესრულება საბანაკო მუშაობის დროს.

სამხკორთა მუშაობის გეგმაში ზაფხულისათვის შეტანილი არიან ისეთი საკითხები, რომლებიც ძლიერ უახლოვდებიან საბანაკო ცხოვრების პირობებს.

პირველ ად ყოვლისა სამხკორი უნდა გაეცნოს თავისი მუშაობის ამოცანებს ბანაკში და შემდეგ ვრცლად დაამუშაოს საკითხი საბანაკო კედლის გაზეთის შესახებ: თუ როგორი უნდა იქნეს ის, რომ ხელი შეუწყოს საბანაკო სწავლების საქმეს.

საზაფხულო მუშაობის დროს სამხკორი კიდევ უფრო უნდა დაუახლოვდეს პარტიას და იმუშაოს მისი ხელმძღვანელობით.

სხვა მრავალი საკითხებიც, რომლებიც დაკავშირებული არიან საბანაკო ცხოვრებასა და მუშაობასთან მოითხოვენ დამუშავებას სამხკორთა წრეებში მეცადინეობის დროს.

თუმცა სამხკორთა მუშაობაში დიდი მიღწევების მიღებისათვის არ კმარა მარტო სამხკორთა წრეში მეცადინეობა. საჭიროა მთელი რიგი სამხკორთა და რედკოლეგიების თათბირების მოწყობა, რომლებზედაც გარჩეული უნდა იქნეს მიმდინარე მუშაობის საკითხები, მოხდეს მუშაობის გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა და მისი გათვალისწინება.

ამას გარდა საჭიროა მომზადებული იქნენ შვებულებაში მიმავალი სამხკორები ზაფხულის შემდეგ, რომ მათ ისევ განაგრძონ მუშაობა და შეავსონ მუშ-სოფლკორების რიგები. ამას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს.

კედლის გაზეთის მუშაობა ისე უნდა იქნეს დაყენებული რომ შეეფარდებოდეს საზაფხულო—საბანაკო მუშაობის პირობებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო საკითხებს, არა მარტო ბანაკში წარმოებულ მეცადინეობის გაშუქებაში, არამედ საველე მეცადინეობას—უმთავრესად.

ფართოთ უნდა შუქდებოდეს გაზეთში აგრეთვე პარტიისა, ახკომკავშირის და სპორტის მუშაობა. არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მოსახლეობასთან დამოკიდებულების და ნაწილის სამეურნეო საკითხების გაშუქებას.

უნდა ვეცადოთ, რომ საბანაკო გაზეთი, როგორც თავისი ფორმით, ისე შინაარსით ძლიერ განირჩეოდეს ყაზარმაში გამოშვებულ გაზეთებიდან.

უნდა შევეჩვიოთ აგრეთვე სალაშქრო პირობებში გაზეთების გამოშვების საქმესაც.

ს.

# სამხედრო ქრონიკა

### მომჭირნეობის რეჟიმისათვის.

მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო ქიმიურ სამმართველომ გამოჰყო განსაკუთრებული სამეული, რომელსაც ევალება მთელი ენერგიით შეუდგეს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას წითელი არმიის ნაწილებში. სამეულმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ აცნობონ მას თუ როგორი ტემპით ტარდება სამხედრო ქიმიური სამმართველოს მასალების საქმეში მომჭირნეობა.

### საზღვაო ავიაციის ფორმა.

საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებით საზღვაო ავიაციის ნაწილებისთვის დაწესდეს ისეთი ფორმა, როგორიც შემოღებულია საზღვაო ფლოტში.

## ეწყობიან ახალ ბინაზე

მე 2 არტლეგიონი.

ცხენ. ლეგიონის გასვლის შემდეგ ბანაკში, ხსენებული ლეგიონი გადავიდა პირველის ყაზარმაში და შეუდგა მის მოწყობას. მოეწყო სამზარეულო, ერთი საჯინიბო და სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა სხვა და სხვა მხრივაც.

## შეფმა მიიძინა

როგორც გავიგე ამ ორი თვის უკან, თურმე 2-ე ქართული მსროლელი ლეგიონზე ქონია აღებული შეფობა ქ ბათომის ხელოვნების მუშაკთა კავშირს.

ერთხელ—დიდი ხანია მას შემდეგ—მიგვიპატიჟეს კინოში, სადაც გამოვიდა სცენაზე ერთი ორატორი—ხსენებულ კავშირის წარმომადგენელი და ბევრი ილაპარაკა და გვითხრა მხოლოდ ის, რომ მათ ჩვენზე შეფობა აქვთ აღებული. იმ დღეს კარგი სურათი გვაჩვენეს და კმაყოფილი გამოგვიშვეს, მაგრამ ამის შემდეგ მთლად გასწყვიტეს ჩვენთან კავშირი. არ ვიცით რაშია საქმე.

ნუ თუ მხოლოდ ამით მოიხადა შეფმა თავისი მოვალეობა? დროა გამოფხიზლდეს და ნუ დაგვივიწყებს.

კ. გაბუნია.

ლეგიონი აწყობს სამხედრო და ლენინის კთთხეებს. მორთეს კლუბის შენობა, სასადილო და სხვა.

ამნაირად ცხენოსანი ლეგიონის ყაზარმებში მიიღებს სამხედრო ცოდნას 1903 წელში დაბ. გამოწვეული ახალგაზრდობა, რომლებიც შეგნებული დაუბრუნდებიან შემდეგ თავის სოფლებს.

პ. კახიძე.

# ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებში

## რაზედ დაობდენ იაპონიის პარლამენტში?

ამას წინად გაიხსნა იაპონიის პარლამენტის 51 სესია. სესია არჩევდა სამ საკითხს: ჩინეთის ამბებს, საგადასახადო პოლიტიკას და 1926—27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტ.

იაპონიაში არსებობს რამოდენიმე ბურჟუაზიული პარტიები. მათ შორის უფრო გავლენიანი არიან: კენსეკაი და სეიუკაი. ამჟამად კენსეკაის პარტია იაპონიის ხელისუფლებას უდგას სათავეში. იაპონიის მთავრობა ამ პარტიის ბელადებისაგან არის შემდგარი. სეიუკაის პარტია დიდათ არ განსხვავდება კენსეკაისაგან. როგორც პირველი, ისე მეორე შესდგებიან ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან. მაგრამ სეიუკაის პარტიაში უფრო ბლომად იყრიან თავს სამხედრო პირები, გენერლები, რომლებმაც ერთხელ ინტერვენციაც კი მოახდინეს საბჭოთა კავშირის მიწა-წყლის--ციმბირის და შორეულ აღმოსავლეთის.

იაპონიის სამხედრო პირები წინააღმდეგი არიან საბჭოთა კავშირსა და იაპონიის შორის კეთილმეზობლურ განწყობილების დამყარების.

სეიუკაის პარტიის ერთი წარმომადგენელი—გენერალი ტანაკა გამოაშკარავეს პარლამენტში, რომ სამხედრო მინისტრად ყოფნის დროს მას გაუფლანგავს 10 მილიონი მანეთი რომელიც გამოიტანა იაპონიის ჯარებმა ციმბირიდან.

საერთოდ პარლამენტის აღნიშნულ სესიაზე აუარება ინციდენტებს, ჩხუბს და სხვა ასეთებს ჰქონდა ადგილი.

დიდი ჩხუბი და აურზაური გამოიწვია იაპონიის პარლამენტში საკითხებმა ჩინეთის საქმეების შესახებ.

იაპონიის პარლამენტის წევრების ერთი ნაწილი—სამხედრო პარტიის წარმომადგენლები, მოითხოვდენ მთავრობისაგან ჩინეთის საქმეებში აქტიურად ჩარევას, რომ გაფართოვდეს იაპონიის გავლენა მანჯურიაში.

ამას გარდა სამხედრო პარტიის წარმომადგენლები მოითხოვდენ მთავრობისაგან ომის გამოცხადებას საბჭოთა კავშირისათვის. პარლამენტის მეორე ნაწილი—სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები კი პირიქით მეგობრულ დამოკიდებულებას.

საქმე იმაშია, რომ იაპონიის ბურჟუაზია დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან მეგობრობით და ჩვენი მეურნეობის და მუშავებით. ასეთივე აზრის არის იაპონიის ეხლანდელი მთავრობა. პარლამენტში გამართული კამათი მაინც მაჩვენებელია იმისა, რომ იაპონიის სამხედრო წრეებს სურთ ომი საბჭოთა კავშირთან. ისინი სცდილობენ დაარღვიონ იაპონიასა და საბჭოთა კავშირის შორის არსებული დამოკიდებულება.

ნ. კ.

# მოწერილი წერილებიდან.

## ჩავატარეთ პოლიტ-ლატარეია

მე-4 ლეგიონის სამნეო ასეულში ამას წინად ჩატარებული იქნა პოლიტ-ლატარეია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ არმიელებში. კარგად მოპასუხე არმიელებს დაურიგდათ საჩუქრები.

კარგი იქნება პოლიტხელი ხშირად გაგვიმართავდეს ასეულში ასეთ გასართობებს, რადგან მას დიდი ინტერესი შეაქვს წითელ არმიელებში.

მ—ი.

## ცოცხალი სურათები

9 მაისს 6 ლეგიონის 2 ათასეულში დრამ-წრემ გამართა ცოცხალი სურათების ჩვენება სიღნაღის მაზრის სოფ. ნუკრიანაში.

სურათებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე ... სთხოვეს დრამ-წრეს ხშირად მოეწყოთ ასეთები ადგილობრ... სამკითხველოს სასარგებლოდ.

დ. ყლიზბარაშვილი.

## ტერ-შეკრებისათვის

მე-2 ქ. მს. დ. ცალკე საკავშირო ასეული აცხადებს, რომ 19.. წელში დაბადებულნი, რომლებიც მიწერილნი არიან აღნიშნულ ... წილზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ა. წ. 15 მაისს დი... 7 საათზე ძნელაძის ქ. №21 (ყოფილი საპიორის ქ. №21)

ცალკე საკავშირო ასეულის მეთაური ებანოიძე.

სამხკომი ჩხიკვიშვილი.

## კედლის გაზეთები მოისუსტებე...

მე-6 ლეგიონი

უკანასკნელ ხანებში ლეგიონში კედლის გაზეთები ვერ დგანან თავის სიმაღლეზე. უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მათ გამოშვებაში ვერ ღებულობენ მონაწილეობას წითელ არმიელები. განსაკუთრებით ძლიერ მოისუსტებენ ასეულის კედლის გაზეთები. ზოგიერთ ნაწილებში კი სულ აღარ გამოსულა მას შემდეგ გაზეთები, რაც გაშვებული იქნენ ცვალებადელი წითელ არმიელები. გამოდის მხოლოდ ლეგიონის კედლის გაზეთი, აქ უფ-პოლიტშემადგენლობა ღებულობს მონაწილეობას და წითელ არმიელები იშვიათად სჩანან. ასეთი გარემოება დიდ დაღს ასვამდა ლეგიონის მუშაობას. მართალ... ლეგიონის გაზეთი რამოდენ... მედ ამსუბუქებდა მდგომარე... ბას, მაგრამ ასეულების სიჩუ... მაინც ცუდ მდგომარეობ... ქმნიდა.

იმედია ლეგიონის მომუ... ვეები შეეცდებიან გამოასწ... რონ ეს ნაკლი და ცვალებ... დელთა მოსვლის შემდეგ მაინ... გამოასწორებენ კედლის გაზ... თების ასეულებში გამოშვებ... საქმეს. მთელი ყურადღება ... ჟამად აქეთკენ უნდა იქნეს მ... ქცეული, რომ პირნათლად შ... ვასრულოთ მოცემული დავ... ლებები და ავღზარდოთ სა... გალითო ცვალებადელები.

ნ—ლი.

# უცხოეთის არმიებში

## 12.000 საათი ჰაერში.

### საფრანგეთის ავიაციის მოქმედება მაროკოში.

რიფების წინააღმდეგ ფრანგების მხრიდან მონაწილეობას ღებულობენ ფრონტზე 6 ესკადრილია. საზვერავ და ყუმბარ მტყორცნელი ესკადრილიების რიცხვი თანდათან იცვლებოდა პოლკში. მზვერავ ესკადრილიაში შედიოდა 8 ჰაეროპლანი და ყუმბარ მტყორცნელში კი 10 ჰაეროპლანი.

ჩვეულებრივ სამუშაოების გარდა, რომლებსაც ასრულებდა ავიაცი, მას ევალებოდა აგრეთვე ჯარის სურსათით და საბრძოლო საშვალების უზრუნველყოფის საქმეც. ამასთანავე ეეთად ავიაციის საშვალებით გადმოჰქონდათ ფრონტიდან დაჭრილი მეომრები ფრონტის ზურგში.

1925 წ. 1 ივლისიდან 1926 წ. 15 იანვრამდე ავიაციის საერთო მუშაობა გამოიხატა იმ... რომ მან დაჰყო სულ ჰაერ... 12.000 საათი. სულ შესრ... ლებული იქნა მის მიერ 5.5... ცალკე ამოცანა. 3.000 საა... მოხმარებული იქნა ყუმბარებ... გადაყრის საქმეში მტრის ფრო... ნტზე. სულ გადასროლილი ... ნა 375 ტონი ყუმბარები. ა... გარდა ავიაციამ შესძლო 1.4... ფოტოგრაფიული სურათე... გადაღება—მტრის ადგილმ... ბარეობიდან ავიაციის საშ... ლებითვე გადმოყვანილი ი... ფრონტებიდან. 500 დაჭრი... მეომარი. როგორც სჩანს ა... აციას დიდი როლი უთამა... საფრანგეთის ომის დროს, ... ამიტომ არის, რომ ასე ნერ... ულად ემზადება და აძლიერ... თავის საჰაერო ძალებს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ახალი ცდები სიფილისისა და ჭლექისაგან განკურვების საქმეში.

ბალტიის საზღვაო გოსპიტალი შეუდგა ცდების დაყენებას სიფილისისა და ჭლექისაგან განკურვნის საქმეში, ახალი საშვალებებით. ეს ავადმყოფობანი მოითხოვენ ხანგრძლივ აქიმობის და დიდხანს აცილებს ადამიანს სამუშაოდან.

ახალი საშვალებები უმთავრესად ხასიათდებიან მით, რომ ჩქარა იქნეს ავადმყოფი განკურვნილი. ამ მხრივ წარმოებული ცდები საუკეთესო შედეგებს იძლევიან. მაგალითად ... ფილისისაგან განიკურნა ავ... მყოფი სპეციალური ხსნა... 7 ჯერ შესხმისა და კან... 12 შეშხაპუნების შემდეგ.

35 ჭლექიანისაგან, რომ... გსაც შეუშხაპუნეს სპეციალ... რი დანიშნულების ხსნარი, ს... მოკლე ხნის განმავლობაში ... გრძნობი გამოკეთება დაეტ... 13 კაცს.

გაუმჯობესებულია აგრე... საშვალებები (რენტგენის ს... ვების მეოხებით) ფილტვე... სიდამპლის აღმოჩენისათვ... რაც შემდეგ აადვილებს აქი... ბის საქმეს.